

დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ დაინტერესებული პირებისთვის

საჯარო მოსამსახურეების ინფორმირების მიზნებისთვის განახლდა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი - საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“. პროგრამა ეფუძნება საკანონმდებლო სიახლეებს და „2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“ ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, 2021 წლის 8 სექტემბერს, გაფორმებულ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს. პროგრამა განთავსდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე არსებულ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე. პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 9174; პროგრამაში ინტეგრირებულ ტესტირებაში მონაწილეთა რაოდენობამ - 7438; სერტიფიკატი მიიღო - 7 258 პირმა.

დამატებითი ინფორმაცია:

<http://electionreforms.ge/geo/list/show/3192-tseskom-da-stsavlebis-tsentrma-sadjaro-samsakhuris-biurostan-samushao-shekhvedra-gamarta>

<https://electiontraining.cec.gov.ge/Home/Index>